ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

23 (9963) • 25 ivnisi • 2012 w.

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

ალიონი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

პრეზიდენტი ბახმაროში

გუშინ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გურიის გუბერნატორ ვალერი ჩიტაიშვილთან და მშენებლებთან ერთად კურორტ ბახმაროში იმყოფებოდა.

მიხეილ სააკაშვილმა მოინახულა კურორტზე მიმდინარე მშენებლობები და ბახმაროს განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ მშენებლობებთან ერთად კურორტის ინფრასტრუქტურაც უნდა განვითარდეს.

ვალერი ჩიტაიშვილმა საქართველოს პრეზიდენტს კურორტის განვითარების კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე გასცა პასუხი.

მიხეილ სააკაშვილი ბახმაროს გზის რეაბილიტაციითაც დაინტერესდა და მეგზევეებს ბახმაროსთან ერთად მამათთან დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობაც დაავალა.

„ყველაზე მეტად ტექნიკის არქონა გვაწუხებს"

მარი კოძოევი

გუშინ ოზურგეთის ფერმერთა მომსახურების ცენტრის ეზოში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია ოზურგეთელ ფერმერებს და გლეხებს შეხვდა.

ზაზა გოროზიამ ისაუბრა სხვადასხვა თემებზე, მათ შორის თანამედროვე ტექნიკის შემოყვანაზე, ახალი კულტურების მოშენებაზე, ახალგაკეთებულ საჩითილე მეურნეობებზე. მინისტრმა უპასუხა ფერმერების შეკითხვებსაც.

ზაზა გოროზია: – „სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმთავრესი მიზანია თითოეულ ჰექტარზე უახლესი ტექნიკით მოვახერხოთ რაც შეიძლება მეტი და სარისხიანი მოსავლის მიღება. დღეისთვის ჯერ კიდევ ბევრი მიწა გვაქვს აუთვისებელი, სწორედ ეს არის ჩვენი უპირველესი საფიქრალი.

კომუნისტების დროს ოთხი კულტურა იყო დომინანტი: ჩაი, მანდარინი, ყურძენი და ვაშლი . მაგრამ გავიდა დრო. ჩვენი ჩაი არ არის იმდენად კონკურენტუნარიანი. ჩვენ ჩაის აქვს პერსპექტივა, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც იყო საბჭოთა კავშირის პერიოდში.

იმ ტერიტორიებზე სადაც ჩაი იყო, ჩვენ დავიწყეთ ახალი კულტურის გაშენება. ერთ-ერთი კულტურა, რომელმაც კარგად გაამართლა– ეს არის მოცვი. ეს მიწები მყვანობითაა სავსე და მყავე ნიადაგზე მოცვი კარგად მოდის. მართალია, ბევრად უფრო ძვირად ღირებულია მისი მოყვანა, მაგრამ ამასთან ერთად უფრო პერსპექტიულია. მოცვზე მოთხოვნა დიდია ბაზარზე.

ყველაზე მეტად რაც გვაწუხებს, ეს არის ტექნიკის არქონა. შარშანდელთან შედარებით გავიაფეთ ტექნიკით მომსახურება (?!) და კიდევ გაიაფდება ტექნიკის შემოტანასთან ერთად. რაც მეტი თანამედროვე ტექნიკა გვექნება, უფრო შეგვლებთ გავიაფოთ მისი მომსახურება.

არის პრობლემები სარწყავი სისტემების, გურიაში კიდევ უფრო პრობლემურია სარდენაჟო არხები. უკვე დავიწყეთ და მომავალი წლისთვის განახლებული იქნება სადრენაჟე სისტემა.

აჭარაში გავაკეთეთ საჩითილე მეურნეობა. გვინდა შემოგთავაზოთ ახალი ჯიშები პამოდორის, კიტრის, ბადრიჯანის და ა.შ. მართალია ცოტა ძვირია ბაზარში ნაყიდ ნერგთან შედარებით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მისი თვითღირებულება არის 15 თეთრი. სამაგიეროდ ის არის გაჯერებული იმ სასუქებით, რომელიც ჭირდება მას შემდეგი განვითარებისთვის. დასავლეთ საქართველოში უკვე იქნა გაყიდული ორი მილიონი ჩითილი. მეორე საჩითილე მეურნეობის გაკეთება დავიწყეთ სამეგრელოში".

შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი და გამგებელი ილია ვაშაყმაძე ესწრებოდნენ.

„ქარიშხალი ჭიქაში", თუ ახალი რეალობა

გაზეთი „ალიონი"

არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ტემპერატურა მატულობს. „ნაციონალური მოძრაობის" და „ქართული ოცნების" ჭიდილი აქტიურ ფაზაშია შესული. ხელისუფლება (იგივე „ნაცმოძრაობა") პოლიტიკური ბრძოლის ძველ გზას ვერ ღალატობს და კვლავ პირი („ლაზიკა," ანაკლია, ბახმარო და ა.შ.) მიაჩნიათ გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ კოზირად.

„ქართული ოცნებაც" გეგმაზომიერად ცდილობს მეტი მხარდამჭერის ნდობის მოპოვებას. ბოლოდროინდელი შეხვედრები ამას ადასტურებს. ნამდვილად არ დავიწყებთ ე. წ. „ექსპერტების" მოწვევას, თუ რამდენი ადამიანი დაეტეოდა ზვიად გამსახურდიას მოედანზე, რომლის ფართობი 5000 კვადრატული მეტრამდეა და 17 ივნისს მომიტინგეები მოედნის მიმდებარე ტერიტორიებზეც იმყოფებოდნენ. რამდენადაც ცნობილია მიტინგების დროს ხალხის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ მეტრზე 3-4 ადამიანი შეიძლება იყოს. ჯამის გამოყვანა ადვილი უნდა იყოს, მაგრამ როგორც საზოგადოების წარმომადგენლები აცხადებენ, – ხელისუფლებამ იმის მაგივრად,რომ ერთხელ კიდევ გაეანალიზებინა, რა არ მოსწონს ამომრჩეველს მმართველი პარტიის პოლიტიკიდან, რა უნდა შეცვალონ, გულს იმშვიდებენ, მიტინგზე 20 ათასი კი არა, 5 ათასი კაცი იყო და თანაც, მათ შორის ბევრი იყო ჩამოსულიო... ნამდვილად იყვნენ ჩამოსულები: ლაჩხუთიდან სავარაუდოდ 2500 კაცზე მეტი ჩამოვიდა, ჩამოვიდნენ ჩოხატაურიდან, სხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან,–ვფიქრობთ,ეს „ქარიშხალი ჭიქაში" კი არა,ახალი რეალობა იყო. საქართველოში მმართველ პარტიას სერიოზული მეტოქე გამოჩნდა და თუ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება, საქართველოს პარლამენტი ერთ ხმაში აღარ იქნება წარმოდგენილი.

ბიძინა ივანიშვილის ოზურგეთში ჩამოსვლის შემდეგ, როგორც ამბობენ, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლება დროებით კაბინეტებში ჩაიკეტა. ზოგიერთთათვის ეს ახალი ჭორების საბაბი გახდა. მათ ერთკვირიანი ლოგა არ გამოუცხადებიათ, უბრალოდ ამ კვირის მანძილზე ისინი „გურიის კურატორ" რამაზ ნიკოლაიშვილთან ერთად პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლის ტაქტიკურ გეგმას ამუშავებდნენ.

რესტორან „გურიაში" გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე რეგიონული მართვის და ინფრასტრუქტურის მინისტრი მხოლოდ ვიცე-გუბერნატორის თანხლებით მივიდა. ამ საღამოზე ბატონმა რამაზმა ერთი საგულისხმო ფრაზა წარმოთქვა „მე ყოველთვის ვცდილობ თქვენს გვერდით ვიყო, როცა მე დამჭირდება, ოგივეს იმედი მაქვს!" აქაც არ დავიწყებთ მკითხაობას, „ნაციონალური მოძრაობა" ეცდება „ქართული ოცნების" ფავორიტებს ძლიერი კანდიდატები დაუყენონ. ვინ იქნება ის,ამაზე ალბათ უახლოეს ხანში შეთანხმდებიან. ხალხში კი რამდენიმე ადამიანის გვარმა უკვე გაიელვა.

ასე, რომ ხელისუფლება სტრატეგიას არ ცვლის, მაგრამ ახალი ტაქტიკურ გეგმის განხორციელებას იწყებს, რომლის საპასუხოდაც როგორ ემზადება ოპოზიცია,ისინიც როგორი სათვალეებიდან უყურებენ მომავალს, მომდევნო კვირეები გვიჩვენებენ... ჩვენ არ გვიხსენებია სხვა პარტიები, იმედია გაგვიგებენ, მათ ამ ორი ძლიერი ძალის ჩრდილქვეშ მოუწევთ მარჯნის კუნძულების მოძებნა.

ოზურგეთის პოლიციამ „გლობალ ტვ"-ის ანტენების დადგმის გამო მოქალაქეები დაჰკითხა

გასულ შაბათს, ოზურგეთის პოლიციაში შერჩევით ჰყავდათ დაბარებული ის მოქალაქეები, რომლებმაც „გლობალ ტვ"-ს სატელიტური ანტენები დიდგეს.

ქ. ოზურგეთში, გურიის ქუჩა 6-ში მცხოვრები ზაირა ჭედია შაბათ დილით, 11 სათსა და 30 წუთზე უბნის ინსპექტორმა ლაშა შარაშიძემ პოლიციაში წაიყვანა.

ოჯახის წევრები მას შემდეგ შეწუხდნენ, რაც გავრცელდა ხმები, რომ დაკითხვაზე წაყვანილ მოქალაქეთა ნაწილი ბათუმში გადაიყვანეს. შემდეგ დაზუსტდა, რომ ზაირა ჭედია ოზურგეთის პოლიციაში ჰყავდათ დაკითხვაზე.

ქალბატონი ზაირა პოლიციელებმა სახლში 18 საათსა და 43 წუთზე მიიყვანეს.

ზაირა ჭედია: –„პოლიტიკაში არ ვართ ჩაბმულნი. მოვიდნენ „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის"წარმომადგენლები და შემომთავაზეს, ხომ არ ვისურვებდი ანტენის დადგმას. დიდი სურვილი მქონდა ანტენა დამედგა, რათა მეტი გადაცემა მენახა და მეტი ინფორმაცია მიმეღო. თანაც ხელშეკრულების პირობები მისაღები იყო, ამიტომ დავთანხმდი და სათანადო ხელშეკრულებაც გავაფორმეთ. როგორ ვიფიქრებდი, თუ ეს რაიმე

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +20+27	წვიმა +21+27	წვიმა +20+26	წვიმა +20+24	წვიმა +18+23	წვიმა +15+21	ღრუბელი +16+23
25 ივნისი ორშაბათი	26 ივნისი სამშაბათი	27 ივნისი ოთხშაბათი	28 ივნისი ხუთშაბათი	29 ივნისი პარასკევი	30 ივნისი შაბათი	1 ივლისი კვირა

საკრებულოს მორიგ სხდომაზე

გაზეთი „ალიონი“

საკრებულოს მორიგ სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი არ დასწრებია. იგი ამ დროს დაბა ურეკში ძლიერი წვიმისა და ღვარცოფისაგან დაზარალებულთა ოჯახებში იმყოფებოდა. საკრებულოს სხდომას მამეშვილის მოადგილე ავთანდილ მექვაბიშვილი უძღვებოდა.

სხდომის პირველ საკითხად მუნიციპალიტეტის 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში მორიგი ცვლილებების შესახებ განიხილეს. საქართველოს მთავრობის №972 განკარგულების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1500000 ლარი შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

სოფ. დვაბზუ-ცხემლისხიდი-ვაკოჯვრის გზის ასფალტობეტონით კაპიტალურად შეკეთებისათვის 830 000 ლარი;

დვაბზუ-მელექედური-სოფ. ოზურგეთის შემაერთებელი გზის მოხრეშვა და გრეიდერების სამუშაოების შესასრულებლად–150 000 ლარი; ოზურგეთის სპორტული სკოლის რეაბილიტაციისათვის –220 000 ლარი; ქ. ოზურგეთში გაბრიელ ეპისკოპოსის, ერისთავის, ჭანტურიას ქუჩების სავალი ნაწილის რეაბილიტაციისათვის– 67 000 ლარი;

ქ. ოზურგეთის ცენტრალურ ნაწილში, დაბა ურეკში, მაკვანეთში, ბოხვაურში, მშვიდობაურში, ჭანიეთში, ნარუჯაში, სილაურში გზების ორმული შეკეთებისათვის–195 500 ლარი.

შემდეგ საკრებულომ 2012 წლის შესყიდვების გეგმაში შესაბამისი ცვლილებები განიხილა.

ამ სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა „ადგილობრივი გადასახადების შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ –განიხილა.

საწარმო-ორგანიზაციებისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტია, ხოლო კერძო მესაკუთრეებს, რომლებსაც საცხოვრებელ სახლებზე და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები აღემატებიან, შესაბამისად 600 და 24 კვ. მეტრს, დაიბეგრებიან.

სათამაშო ბიზნესზე მოსაკრებლებშიც ცვლილებები შევიდა და მოსაკრებლების განაკვეთები ასე ჩამოყალიბდა.

თითოეულ სამორინეს მაგიდაზე კვარტალში– 15 000 ლარი; სათამაშო აპარატზე–1500 ლარი; თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე–საპრიზო ფონდის 10 პროცენტი; სისტემატურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – კვარტალში 30 000 ლარი და ა.შ.

საკრებულოს სხდომამ მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულებაში ცვლილებები შეიტანა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების დასახელება და სამოქმედო ტერიტორიები დაამტკიცა.

სხდომამ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხაც დაამტკიცა.

სხდომის ბოლოს ოპოზიციონერმა დეპუტატმა ლელა ნაცვალაძემ განცხადებისათვის სიტყვა ითხოვა. მექვაბიშვილმა საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა და ამის შემდეგ ნაცვალაძეს განცხადების გაკეთების უფლება მისცა. დეპუტატთა ნაწილმა სხდომა დატოვა და ნაცვალაძეს არ მოუსმინა.

ლელა ნაცვალაძემ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის ოზურგეთში ვიზიტის წინ საგადასახადო სამსახურის თანამშრომლები ბაზარში და გარემოვაჭრეებთან დადიოდნენ და მათ აფრთხილებდნენ, რომ თუ ივანიშვილის მიტინგზე მივიდოდნენ, მათ ჯარიმებს ამოუწერდნენ. დეპუტატს ამის შესახებ მოვაჭრეებმა მიმართეს და ნაცვალაძეს ამის ჩანაწერიც გააჩნდა.

ავთანდილ მექვაბიშვილმა ნაცვალაძეს რჩევა მისცა, რომ ქვეყანას ჰყავს ობმუნსმენდი და თუ ვინმეს უფლება დაირღვა, მას უნდა მიმართონ.

კამათში მმართველი „უმრავლესობის“წარმომადგენლები კობა ხაბალაშვილი და შალვა თავდიშვილი ჩაერთნენ.

ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ხელმძღვანელმა კახა ღლონტმა კი სოფ. კონჭკათში გარდაცვლილის ოჯახზე დახმარება ითხოვა.

ერთი დიდი გაკვეთილი

ერთი დიდი გაკვეთილი, რომელიც ოზურგეთის №1 საჯარო სკოლაში ჩატარდა, სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლის ელიკო თავდუმაძისა და მისი აღსაზრდელების შემოქმედებისა და უკვე განვლილი სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული ცოდნის მოკლე ანგარიშის წარმოჩინება გახლდათ.

თავდაპირველად უფროსკლასელებმა მოკლედ წარმოადგინეს თემები, რომლითაც მათ მასწავლებლის დახმარებით არაერთი წარმატება მოიპოვეს სასკოლო, რესპუბლიკურ კონფერენციებსა, თუ ოლიმპიადებში. მათ ანგარიშზე 65 ასეთი თემაა.

შემდგომ მეექვსეკლასელებმა მზის სისტემის პლანეტები საინტერესოდ წარმოადგინეს. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პატარები ვენერას, მარსისა თუ იუპიტერის როლში წარმოდგენილნი.

ელიკო მასწავლებლის წარმატება და საინტერესო გაკვეთილები თუ რონისძიებები ცვენთვის ახალ;I არ არის. მის წარმატებებს მოწმობს მისი პორტფოლიო, რომელშიც მრავლადაა წარრმოდგენილი

„ეჰ, მოცახცახე ჩიტის გულებით, ამ მერხებს აღარ მივუბრუნდებით"

მარი კოძოევი

მეოთხე სკოლის უკვე ყოფილმა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა მეოთხე კლასის გამოსაშვებ ღონისძიებაზე მიგვიწვიეს. ბევრი თბილი სიტყვა და ემოცია თან ახლდა ზეიმს.

ყველაზე მეტად ემოციური ეს დღე მოსწავლეების უსაყვარლესი ეკა მასწავლებლისთვის გამოდგა. სწორედ ეკა დარჩია იყო მათი პირველი პედაგოგი.

ეკა დარჩია: მასწავლებლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა, რადგან ამ დროს ანბანთან ერთად ადამიანობის ანბანის შესწავლაც იწყება. ამ კლასთან ერთად ბევრი ტკივილი და სიხარული გადავიტანე. აგვისტოს ტყვიის ზუზუნი თან ერთვოდა მათი სკოლაში შემოსვლის ფიქრებს. მახსოვს სასკოლო სამზადისის ეიფორია როგორ შთანთქა აგვისტოს შემზარავმა რეალობამ. შესაძლოა დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეჩერებულა სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და სექტემბერში ჩემი საკლასო ოთახი 22 კუდრაჭა გოგო-ბიჭით გაივსო. უფალი ბრძანებს: საკმარისია მოსწავლისთვის, რომ იყოს ისეთი, როგორიც თავისი მოძღვარია. მაგრამ მე მინდა, რომ თქვენ ჩემზე უკეთესები იყოთ. №4 სკოლა და ეკა მასწავლებელი ისევ ველით ახალ თაობა, ჩემს პირველკლასელებს რათა ცოდნის მადლს ვაზიაროთ და სიკეთის რწმენა ჩავუნერგოთ"

ღონისძიებაზე მისულებს ბევრი ლექსით, სიმღერით და ცეკვით დაგვხვდნენ. იყო იუმორისტული ნომრებიც. თვალი გადაავლეს და ჩვენთან ერთად გაიხსენეს გასული ოთხი წლის დასამახსოვრებელი ეპიზოდები.

ღონისძიების ბოლოს სკოლის დირექტორმა, ტარიელ კალანდაძემ ბავშვებს მომავალი წარმატებები უსურვა ხოლო იმ მშობლებს, რომლებმაც თავისი შვილი მეოთხე სკოლაში მიიყვანეს სასწვლებლად ნდობისთვის მადლობა უთხრა.

ცნობილა ჟურნალისტმა, ეთერ ქადეიშვილმა ბავშვებს საჩუქრად თავისივე ავტორობით წიგნები გადასცა.

დარბაზის სხდომაზე

მარი კოძოევი

გასულ კვირას საზოგადოებრივი დარბაზის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. წინა სხდომებისაგან განსხვავებით, ამ უკანასკნელს საკრებულოს თავმჯდომარე, ალეკო მამეშვილი არ დასწრებია.

შეხვედრის პირველ ნაწილი იმ პროექტების გაცნობას დაეთმო, რომელსაც „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“- ოზურგეთელ პარტნიორებთან ერთად ახორციელებს. სამაუწყებლო კომპანია „გურიას,“ დემოკრატიული განვითარების კავშირის, თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციისა და მუნიციპალური სერვისების მიწოდების ასოციაციის მომავალში განსახორციელებელ აქტივობებზე არასამთავრობო ორგანიზაციის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ რეგიონულმა კოორდინატორმა ისაუბრა.

სხდომის მეორე ნაწილში ოზურგეთის სტრატეგიული გეგმის პროექტი განიხილეს. პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. მას უკრაინის პატარა ქალაქებს ასოციაცია პარტნიორ ორგანიზაციებთან, სტუდენტურ ახალგაზრდულ სათათბიროსთან და ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან ერთად ახორციელებს.

სტრატეგიული გეგმის პროექტს უახლოეს საკრებულოს სხდომაზე გაიტანენ

ოზურგეთის პოლიციამ „გლობალ ტვ“-ის ანტენების დადგმის გამო მოქალაქეები დაჰკითხა

სახის დანაშული იყო. დღეს დილით პოლიციაში წამიყვანეს. რიგში ვიდექი, სხვა მოქალაქეებიც ჰყავდათ დაკითხვაზე, ამიტომ დამაგვიანდა.“

შეკითხვაზე, თუ ვინ დაკითხა და გააცნო თუა არა გამომძიებელმა მისი უფლებები, გვიპასუხა:–„ პოლიციაში პირველად ვიყავი. გამომძიებელს არანაირი უფლებები არ გაუცვნია ჩემთვის, არც ის ვიცი ვინ დამკითხა. ადვოკატები არც იმათ ჰყავდათ, ვინც ჩემს წინ დაკითხეს. ანტენის გარშემო მეკითხებოდნენ. მართალი გითხრათ, ძალიან ვნერვიულობ. ბევრს ვერაფერს გეტყვით.“

შაბათს, ოზურგეთის პოლიციაში, სატელიტური ანტენების დადგმის გამო მოქალაქეთა დაკითხვები მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ხოლო წინა დღეებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები ადგენდნენ არა მარტო იმ მოქალაქეების სიას, ვინც „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ წარმომადგენლებთან ხელშეკრულება გააფორმეს და სატელიტური ანტენები დაიდგეს, არამედ იმ მოქალაქეებისასაც, რომლებიც რაიმე ფორმით დაეკონტაქტნენ ამ ფირმის წარმომადგენლებს.

ციური დვალიშვილს ივანიშვილთან შეხვედრაზე მისვლა გაუხსენეს

მარი კოძოევი

ციური დვალიშვილი გასულ კვირას თითქმის ყოველდღე ოზურგეთის ადმინისტრაციული შენობის მისაღებში იყო და გამგებელთან ან გუბერნატორთან შესასვლელ საშვს ითხოვდა. პასუხი ყოველდღე ერთნაირი იყო, „არც გამგებელი და არც გუბერნატორი შენობაში არ იმყოფებაო“.

ქალბატონ ციურის შვილიშვილი 18 წლის ანა სირაძე ჰყოლია ავად და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მკურნალობისთვის საჭირო თანხის თხოვნა უნდოდა.

ციური დვალიშვილი: –„ჩვენს ოჯახს არანაირი ფინანსური საშუალება არ აქვს, გასაყიდიც აღარაფერი გვაქვს, რომ გავყიდოთ და მკურნალობისთვის საჭირო თანხას მოვუყაროთ თავი.“ ამიტომაც იგი ყოველ დღეს, დილიდან სამუშაო საათების დასრულებამდე ადმინისტრაციული შენობის მისაღებში ატარებდა. საშვზე მორიგი უარის მიღების შემდეგ მისაღების თანამშრომლებს ციური დვალიშვილისთვის უთქვამთ:– „დახმარებას აქ ითხოვ, არადა ივანიშვილთან კარგად წახვედი შესახვედრადო“(?!)

ციური დვალიშვილის ოჯახს ფინანსურად ძალიან უჭირს, მაგრამ მიუხედავად ამისა სოციალურ დახმარებას არ იღებენ.

ჩვენი მუზეუმის – „სტუმარ - მასპინძელი“...

თემურ ბაქანიძე

19 ივნისს, ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, პრესკონფერენცია გამართა, – ჩვენი მუზეუმის დირექტორმა-ბატონმა გოგა ტრაპაიძემ და საქართველოში სტუმრად მყოფი ლიტვის დელეგაციის წევრმა, ქალაქ როსკიშკიშის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა-ქალბატონმა ნიოლე შნიოკენემ.

შეხვედრამ ძალიან თბილ ვითარებაში, როგორც იტყვიან-ღიმილიანი სახეებით ჩაიარა. ორთავე მხარემ ისაუბრა თავიანთი მუზეუმების მნიშვნელობაზე, თავიანთ მიღწევებსა და პრობლემებზე. ქალბატონი ნიოლე აღფრთოვანებული იყო ჩვენი მუზეუმის ექსპონატების სიმრავლითა და სიძველით, რომელთა უმეტესობა ქვის, რკინისა და ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება...სტუმარმა ისაუბრა იმაზე, თუ, როგორ გამოვიდა მათი მუზეუმი ერთ დროს არსებული მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან; მოგვიყვა, თუ რა შრომა გასწიეს ამისთვის და როგორ დაასტაბილურეს მდგომარეობა. საუბრისას ყურადღება გაამახვილა ქალაქის მმართველობაზე, რომლის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენს მათი მუზეუმი; თქვა ისიც, რომ ექსპონატების მხრივ, მათი მუზეუმი ბევრად მწირია, ვიდრე ჩვენი. მათი მუზეუმის ღირშესანიშნაობის დიდ ნაწილს, მათი ეროვნული-ძველებური სამოსი წარმოადგენს.

ორთავე მხარემ სიამოვნებით აღნიშნა, რომ აუცილებლად გააგრძელებდნენ მუზეუმებს შორის „ახლად შობილ“ მეგობრობას. ქალბატონმა ნიოლემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი მუზეუმი, დიდი მნიშვნელობის მქონეა და ექსპონატებით ბევრად მდიდარი, ვიდრე მათი და მისთვის მნიშვნელოვანია შემდგომი ურთიერთობის გაღრმავება და თანამშრომლობა ჩვენს მუზეუმებს შორის...

დამაინტერესმა მათმა ფინანსურმა მხარდაჭერამ მთავრობის მხრიდან, რაზეც გვიპასუხეს, რომ მთავრობა მათ ყურადღებისა და მხარდაჭერის გარეშე არასოდეს ტოვებს. დარცხვენით აღნიშნა საკუთარი ხელფასის რაოდენობაც, რომელიც 750 ამერიკულ დოლარს შეადგენს, მისი თანამშრომლებისა კი – დაახლოებით 500 დოლარს. შეხვედრის შემდეგ მეგობრულ საუბარში ბატონმა გოგამ მითხრა, რომ მისი ხელფასი 440 ლარია მხოლოდ, ხოლო თანამშრომლებისა 220. ბატონ გოგას მინდა მივულოცო-აჯობა ლიტველ კოლეგას და თანამშრომლებზე 50%-ით მეტი ჯამაგირი აქვს...

როდესაც ქალბატონ ნიოლეს დავუსვი კითხვა, როდის აპირებდა შემდეგი ვიზიტით საქართველოს სტუმრებოდა, მის მოწყენილ თვალებზე მივხვდი კითხვის უადგილობას-მას წასვლაზე არც ქონდა ნაფიქრი...ნიოლე აღფრთოვანებული ლაპარაკობდა თბილი ქართველებისგან-თბილად მიღებაზე; მოხიბლული იყო ჩვენი კერძებითა და ღვინოებით...ყველაფერზე ეტყობოდა, რომ შეყვარებული იყო საქართველოსა და ქართველებზე. შევატყვე დაბნეულობაც, რაღაცაზე გამუდმებით ფიქრობდა მომღიმარი და თითქმის „მოკისკისე“ ქალბატონი. ამ დაბნეულობის მიზეზს შემდეგ თვითონვე მივხვდი. ალბათ ის ვერ ამოეგდო გუნებიდან, როცა მუზეუმს ათვალიერებდა ბატონ გოგასთან ერთად, ერთ-ერთ დარბაზში ისეთივე წვიმა იყო, როგორიც ქუჩაში. „შინაურად ქცეული ქალბატონი“, შეშინებული თვალებით უყურებდა ქალაქის ცენტრში აგებულ მუზეუმის შენობას, რომლის კედლები და ფასადები არათუ შეუხედავი და შემზარავია, არამედ სიცოცხლისთვის საშიში ფეხით მოსიარულეთათვის.

სტუმრის წასვლის შემდეგ, ბატონ გოგასთან ერთად დავათვალიერეთ შენობა და მინდა ყველას გასაგონად ვთქვა ჩემი აზრი-აზრი რიგითი ოზურგეთელი მამაკაცისა: გული მომიკლა იმ ფაქტმა, რომ, თუ სხვა ქვეყნებში ითვლიან ხარჯებს წინსვლისა და მონტაჟებისთვის, ჩვენთან დასათვლელია იგივე ხარჯები მუზეუმის გარე ხედისა და ფასადების დიდი ნაწილის დემონტაჟისთვის. საკონფერენციო დარბაზში ისევე წვიმს, როგორც ქუჩაში. სარემონტოა სახურავი, ან საერთოდ გამოსაცვლელი, რომ საშიშროება არ შეექმნას ისტორიული ძვირფასეულობების დაცვას წყლისა და სინესტისაგან. ფაქტიურად ის, რითაც უნდა ვამაყობდეთ, დანგრევის ზღვარზეა მიმდგარი და სტუმრების მისაღებად ნამდვილად „სახე ასაწითლებელ“ მდგომარეობაში, ისევე როგორც ბევრი სხვა კულტურული დანიშნულების ობიექტები ჩვენს ქალაქში.

URM
THE MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS OF LITHUANIA

მინდოდა ბატონი გოგასთვის რამოდენიმე კითხვა დამესვა, მაგრამ მათ შეგნებულად ავარიდე თავი, არ ჩავაგდე უხერხულ მდგომარეობაში. პასუხები ჩემს შეკითხვებზე, შენობის შიგნით „გახრულ“ კედლებსა და პრიწმინდად აყრილ იატაკებზე ეწერა, ხოლო გარედან იგივე შენობის შეუხადაობა მეორეხარისხოვანია-პირველი ის არის, რომ ის უკვე მოქალაქეთა სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.

ამ ეტაპზე მუზეუმს დიდი მხარდაჭერა ჭირდება სარეკლამო სააგენტოს შექმნისთვის, რომელიც მას მოთხოვნადს გახდის და არსებობისთვის საკუთარ წყაროს შეძენს. ჩემი აზრით ჯობს ბატონ გოგას ქონდეს 750 დოლარი რაღაცისთვის, ვიდრე 440 ლარი იმისათვის, რომ სევდიანი თვალებით უყუროს თანამშრომლებთან ერთად ჩვენი ქალაქისა და რაიონის ძირძველი ისტორიის ძეგლის გაქრობა-გადაშენებას.

დავდივარ ოზურგეთის ქუჩებში და ხშირად ჩაფიქრებული ვარ...არ ვიყავი ასე ახლოს ჩემს ქალაქთან და როცა დამიდგა დრო მას ახლოდან მოვფერებოდი, ბევრი გულის სატკივარი დამხვდა ამ მოფერების გზაზე. საერთოდ არ მაინტერესებს ახლა არც მთავრობა და არც ოპოზიცია. მე ოზურგეთლებისოზურგეთლობამ ჩამაფიქრა – საკუთარმა თავმა ჩამაფიქრა, ვინ ვარ? ვინ ხართ? ჩვენ ხომ ყველა ქალაქის მმართველები ვართ, ვისაც გვიყვარს ჩვენი ქალაქი?!!

ამ ქალაქს ხომ „ელიტა“ ჰყავს?...ხალხი, რომლებიც რესტორნებში წვეულებებს მართავთ და ძვირფასი კონიაკით ლოცავთ ერთმანეთს. ბოდიში და უნდა გკითხოთ, რისთვის ლოცავთ? დაბადების დღე შეგისრულდათ? გილოცავთ და გეკითხებით: სად შეგისრულდათ? ოზურგეთში, არა?

თქვენ-ჩვენ, თეატრის შენობაში შეხვედრებს ვუწყობთ ერთმანეთს გახარებულები...აქაც ბოდიში და ერთი რამ უნდა გკითხოთ: რა გიხარიათ ჩემი-თქვენი ოზურგეთის-ოზურგეთლებს? ის, რომ მუზეუმი თავზე გვენგრევა და ვაჟკაცობით და ქართველობით სავსე გოგა ტრაპაიძე და მისი სამსახურის ულამაზესი-უჭკვიანესი ქალბატონები სირცხვილისაგან დამცირებულები-ცრემლიანი თვალებით დააცილებენ სტუმრებს დარბაზებში სადაც წვიმს და თავის მართლება მხოლოდ და მხოლოდ მათი ლანძღვაა, ვინც ამ ლანძღვისთვის სახლში გაუშვებს და ულუკმაპუროდ დატოვებს მათ? რა დავწერო ლამაზად- ქვის ხანაში დამზადებულ წამახულ ქვაზე, როცა დღეს ნაკეთები ქვები მუზეუმის შენობიდან ცვივა და სიკვდილით იმუქრება? რა დავწერო ლამაზი სიტყვებით, თუ რა თანხა დაჯდება ჩვენი მუზეუმის წინა ფასადის დემონტაჟი? როგორ დავწერო ლამაზი სიტყვებით, რომ მუზეუმის წინ-10 მეტრში ვიღაც „ოზურგეთელი ბიზნესმენი“ ფასიან ტუალეტს რომ აშენებს? ის „ბიზნესმენი“ ალბათ მალე დაიჭერს ადგილს ქალაქის „ელიტარულ“ წრეში. ივლის რესტორნებში, თეატრში...მისსავე ტუალეტში...და ჩვენი ელიტის ერთ-ერთი „ფულიანი“ წარმომადგენელი გახდება. „ის“, რომ აშენებს ეს იმდენად არ მიკვირს, რამდენადაც იმის-იმ ადამიანის, ვინც უფლება მისცა, ქალაქის ცენტრში, ღიად(მსოფლიო მოვიარე და ყველგან მალულ ადგილებზეა), მუზეუმის წინ, ააშენოს „ერთი სუნიანი“ ადგილი...

ჩემო საყვარელო ოზურგეთლებო!!! მართლა ოზურგეთლებო!!! ეს მუზეუმი უვიცისთვის არის მეორე ხარისხოვანი, ჩვენთვის-თქვენთვის კი ისტორიაა, ჩვენი ისტორია: გურული მოაზროვნეების, მოღვაწეების, თავადების, გლეხების, ფირალების...გურიის ისტორიაა. ბევრი პრობლემაა ქალაქში, განა ვერ ვხედავ, მაგრამ ეს პრობლემა იმით გამოირჩევა სხვებისგან, რომ „თავს გვჭრის“ უცხოთა თვალში, რომლებიც საღი აზრით აზროვნებენ და იციან, რომ მუზეუმი ქალაქის სახეა...ის გვარცხვენს სტუმრებთან.

გთხოვთ, შეევხმიანოთ ერთმანეთს, დავარქვათ ამ პრობლემას სახელი და „მართლა ოზურგეთლებმა“ შევხვდეთ ერთმანეთს ამავე მუზეუმში და გადავწყვიტოთ მისი მომავალი; თუ ვერ ვპატრონობთ-დავანგრიოთ და მიწასთან გავასწოროთ, თუ არადა იმის ნახევარი ვიზრუნოთ მის იერსახეზე, რაც ჩვენი „პატარა“ სახეების პატრონობაზე გვეხარჯება...

მე მიყვარს ოზურგეთი - - - შენ? თქვენ?

სიყვარულის წილ დაბრუნებული სიყვარული

ოზურგეთის №5 საჯარო სკოლაში მეოთხეკლასელთა გამოსაშვებ საღამოს ცოტა ცრემლთან, უსაშველოდ ბევრი სითბო და სიყვარული ახლდა. ცრემლი, მოსწავლე-მასწავლებლის მიჩვევა-მითვისების განშორებისა გამო და ის სითბო - სიყვარული, ბავშვებს რომ შეუძლიათ მხოლოდ და სიყარულიც სიყვარულის წილ დაბრუნონ. კიდევ ერთხელ მოეფერა ნატო მასწავლებელი თავის მოსწავლეებს, რომლებთანაც ერთად მთელი ოთხი წელი გაატარა. ახლა კი უკვე „დიდობის“ გზამდე მისულებს, ეს გზა დაულოცა.

ასე გამოხატა პირველი მასწავლებლის ნატალია გობრონიძის სიყვარული მისმა მოსწავლემ, IV კლასელმა **ნანა თოიძემ.**

– ვიცი, ზოგიერთი ასე ფიქრობს: მასწავლებელი მხოლოდ გვასწავლის. გავა ოთხი წელი და დაგვტოვებსო.

ჩემთვის ჩემი პირველი მასწავლებელი მეორე დედაა. მასზე ტკბილი არ არსებობს, მასზე ნაზი არ დაიარება. პირველი მასწავლებელი იას წააგავს, რომელიც იცავს ახალამოსულ იებს. მერცხლები შთამომავლობას ტოვებენ. დედა მერცხალსაც წააგავს პირველი მასწავლებელი. მან გვასწავლა ანბანის პირველი ასო-ბგერა „აი-ია“

ერთი პატარა, ამპარტავანი გოგონა ვიყავი, რომელმაც არ ვიცოდი, რომ ჩემი პირველი მასწავლებელი ფოთოლივით გაფრინდებოდა. პირველკლასელი გავხდი. გაკვეთილი დაიწყო. ჩემს წინ მშვენიერი ქალი იდგა და დაფაზე რაღაცას უცნაურად წერდა – „აი ია“.

რას ნიშნავდა ეს სიტყვები, ყველას გვიკვირდა... ახლა კი ვიცით.

პატარა გოგონა ვიყავი, ანცი და მოუსვენარი. ცრემლები მომდის, როდესაც ვიხსენებ, როგორ მეშინოდა. ვფიქრობდი, ძალიან რთული იქნება ანბანის სწავლა მეთქი. ეს წერაო, ეს კითხვაო, მაგრამ გავიდა დრო და ყველა სირთულე გადავლახე. ახლა წერაც ვიცი, კითხვაც და თვლა-ანგარიშიც. ძალიან მომწონს სკოლა. შევეგუე მ,ეგობრებს. გული მხოლოდ ერთ რამეზე მტკივა, რომ ნატო მასწავლებელს ვტოვებ. მაგრამ იმედი მაქვს ალბათ სხვა მასწავლებლებიც მოგვაფარებს კალთას, მაგრამ მაინც სულ სხვაა პირველი მასწავლებლის სითბო და ალერსი, მისი პირველი გაკვეთილი, მისი ახსნილი „აი ია“, მისი თქმული პირველი ლექსი თუ მოთხრობა.

არ გეგონოთ ამ სიტყვებს ვიგონებ, ეს სიტყვები ჩემი გულის სიღრმიდან ამოდის, არ ვიცი ვის გავუზიარო, გადავწყვიტე ფურცლისთვის გამენდო ეს ყველაფერი.

როდესაც პირველად შევაღე სკოლის კარები, თვალში დიდი კაცის პორტრეტი მომხვდა, დიდწვერა, წვეტიანი ქუდით, თითქოს მე მიცქეროდა, თითქოს მეუბნებოდა: „გაიღო შენი სკოლის კარები, შენი სიცოცხლე აქედან იწყებაო“. იქვე, იმ პორტრეტის გვერდით. მეორე ლამაზპიჯაკიანი კაცის პორტრეტი იყო. კეთილი სახე ჰქონდა, თითქოს კაბინეტისაკენ მანიშნებდა: –„იჩქარე, შენი ცხოვრების „დედაენა“ გელოდებაო. საკლასო ოთახის კარები შევაღე. მერხებთან 6 ჩემი ტოლი ბავშვი იჯდა. ერთი ადგილი ცარიელი იყო. შეშინებული მივუჯექი მერხს. ატყდა ერთი აურზაური, ოთახში შემოვიდა წითელპერანგიანი ქალბატონი. ეს ნატო მასწავლებელი იყო.

პირველი გაკვეთილი, პირველი ზარი გაკვეთილის დასრულის მაუწყებელი.. ეს წუთები ვარდისფრად გადაიშალა ჩემს გულში და არასდროს დამავიწყდება. ალბათ ბევრი ვერ მიმიხვდება, დასაწყისში რას მივამსგავსე მიწა და ია. მიწა მასწავლებელია, ია კი–მე. როგორ მინდა თუ დამიჯერებთ, როცა ახლა ამას ვწერ, ჩემი გული ტირის. თითქოს გუშინ იყო ის დღე, როდესაც ნატო მასწავლებელს პირველად გადავეხვიე და რა მალე დადგა დღე, როდესაც უნდა დატოვო და მე-5 კლასელი გახდე.

მე ვამაყობ ჩემი სკოლით. მართალია ის, სხვა სკოლებივით შელებილი და გარემონტებული არ არის, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, სკოლა-სკოლაა. ჩემი სკოლა სიბრძნის სკოლაა, ოღონდ ამ სიბრძნეს პოვნა და გამოყენება უნდა.

ახლა მე-4 კლასელი ვარ. აღარ ვარ ბავშვი. აღარ მეშინია მასწავლებლის დანახვა, პირიქით, ვეშვიდიბები მას. ახლა მინდა ერთი წელი კიდევ დავინახო ნატო მასწავლებლის ბედნიერი ღიმილი, კიდევ ვუსმინო მის ხალისიან გაკვეთილს, რომელიც მუსიკის ჰანგებივით ჩამესმის ყურში. ახლა მინდა მანამდე ვიტირო, სანამ არ მოვა ჩემთან ჩემი უსაყვარლესი ნატო მასწავლებელი და გულში არ ჩამიკრავს, მაგრამ რად ღირს ისევ პირველკლასელად ვიქცე?

ქალთა კლუბის შეხვედრაზე

ნინო ნიკოლაიშვილი

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ოზურგეთის ოფისში კულტურულ ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის მორიგ შეხვედრაზე განიხილეს ამომრჩეველ ქალთა ლიგის მიერ შემუშავებული კონცეფცია, რომელშიც ქალთა უფლებების დაცვასა და ქალთა კიდევ უფრო გააქტიურების საკითხებს ეხებოდა. ოზურგეთის ქალთა კლუბში აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი საკითხები საჭიროებს დახვეწას და ასევე, დასახელდა პრობლემები, რომელთა შეტანა მათი აზრით, აუცილებელია წარმოდგენილი საკითხების გვერდით.

რამდენიმე დღეში გაცვლითი შეხვედრებით, ოზურგეთის ქალა კლუბის რამდენიმე წარმომადგენელი ქ. ზუგდიდის ქალთა კლუბის მუშაობას დაესწრო. იქაც ერთობლივად მოხდა ზემოთდასახელებულ საკითხთა განხილვა. ასევე ერთიანად განიხილეს სოციალურად დაუცველი რამდენიმე ქალბატონის მდგომარეობა, რომელთა დასახმარებლად ქალთა კლუბი შესაბამისი თხოვნით მიმართავს შესაბამის ადგილობრივ ორგანიზაციებს. შეხვედრის ბოლოს ოზურგეთელი ქალბატონები დადიანების სასახლეს ეწვივნენ, სადაც დღესაც შეიგრძნობა ერთ-ერთი ძლიერი და ცნობილი ქალის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების ნათელი კვალი.

ჟენია წიტაიშვილი: „სანაგვე ურნაში შეშას დავეძებ, ცეცხლი რომ დავანთო“

ნაგომრელი პედაგოგის ჟენია წიტაიშვილის თავზე წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ იმდენი გასაჭირი აქვს ნანახი, ქვაც კი ატირდება.

„ქიმია-ბიოლოგიას ვასწავლიდი ნაგომრის საჯარო სკოლაში. მეუღლე დამეღუპა. არ მინდოდა შვილად აყვანილ ბავშვისთვის ვინმეს ამის შესახებ ეთქვა და მაშინდელი აღმასკომის თავმჯდომარის, კეთილშობილი ქალბატონის, მაყვალა ჟღენტის დახმარებით ახალი სახლი ავაშენე სოფ. ქვედა ბახვის გადასახვევთან. უბედურებას მაინც ვერ დავემალე და შვილი დამეღუპა. მაშ შემდეგ რამდენჯერ გამქურდეს, არ ვიცი. მიჭირს ცხოვრება. პოლიტიკაში არ ვერევი, არც მიტინგებზე დავდივარ, მაგრამ რა. ვაგროვებ ასე სანაგვე ურნებში სქელ „კარდონებს,“ წვრილ ტოტებს, რომ ცეცხლი დავინთო და ჩაი მაინც ავიდუღო—გვითხრა ქალაქის მერიის წინ მდებარე ნაგვის ურნასთან ქალბატონმა ჟენიამ.

სუფსა

გვიან შუა საუკუნეებში ამ სახელით მარტოოდენ მდინარე იყო ცნობილი.

მას შემდეგ, რაც საქართველოს რკინიგზას სამტრედია-ბათომის შტოც მიაშენეს, ამ ხაზზე ერთ სადგურს და მის გარშემო სოფელსაც (ონაგორა) რუსულმა ხელისუფლებამ სუფსა უწოდა და ასეა დღესაც.

მდ. სუფსის სანაპიროზე გაზრდილი დიდი მეცნიერი ნიკო მარი (1864-1934) ინტერესით აკვირდებოდა გარემომცველი მხარის საგეოგრაფიო სახელებს, მათ შორის მდინარე სუფსის სახელწოდებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ სუფსა საისტორიო წყაროებში გვიან ხანაში იხსენიება, ნ. მარი მას მაინც გურიის „უძველეს სახელად“ მიიჩნევდა. (ნ. მარი, „პირინეის გურიიდან,“ ტფილისი, 1927 წ.)

ამის საფუძველს ამ სახელწოდების ფონეტიკური აგებულება იძლევა.

სამწუხაროდ, დიდ მკვლევარს ამ საკითხზე თავისი აზრის გაშლა აღარ დასცალდა. ამიტომ ბევრი ასპექტი ამ მოსაზრებისა ჯერ კიდევ გამოსაძიებელია.

პირველ რიგში დასადგენია, რომელ გურიას გულიხმობს მეცნიერი, თავდაპირველს— გურიანთის ქვეყანა თუ მერმინდელს, როდესაც მან დიდი ტერიტორია შემოიერთა ლომსიანთ ხევიდან არსიანის ქედამდე და „რკინის პალომდე“ გავიდა.

საინტერესოა ისიც, რომ ნ.მარი სუფსის მარტო „უძველესებით“ არ დაკმაყოფილდა და მის მეორე ფუნქციად ტერიტორიის აღნიშვნაც ივარაუდა. ესეც დიდი სიახლე იყო იმ დროს, მაგრამ მას აქ მიმდევრები არც ისე გამოუჩნდნენ, როგორც მოსალოდნელი გახლდათ.

ამიტომაც ეს საკითხი დღემდე ვერცაა საკადრისად წინ წაწეული.

იური სიხარულიძე,

პროფესორი.

ელიას ციხე

სამხედრო გზატკეცილიდან, შორს, ცის სილურჯეში ირეკლება ჭახათის მთა, რომელიც აჭარა-გურიის საზღვართან მდებარეობს. მის თხემზე აღმართულა ელიას ციხე. იგი, მართალია ჭანიეთის ტერიტორიაზე არ მდებარეობს, მაგრამ, ისტორიულ-გეოგრაფიული მნიშვნელობით ისე ერწყმის ჩვენს ყოფას, რომ მას ჭანიეთ-ქაქუთის ისტორიის აღწერისას გვერდს ვერ ავუვლით.

„ნაშუადღევის სამ საათზე ჭახათის თხემზე ვიყავით, რომელიც აჭარა-გურიის ქედის გაგრძელებაა და რომლის უმაღლესი პუნქტი ზღვის დონიდან 3.310 ფუტზე მდებარეობს. აქ ძლიერ აცივდა, წვიმა თან გვდევდა, ამიტომ, გასაგებია, რომ ვერ მოვინახულეთ ელიას ციხე, რომლის ძირშიც გადიოდა ჩვენი გზა. ეს ციხე, თუმცა ერთი უშესანიშნავესი პუნქტთაგანია მთელი ჭახათის სიგრძეზე, რიონის ველის თითქმის ყველა მხრიდან ჩანს, მაინც გამორჩენილია ყველა ჩვენს რუკაზე, მაშინ, როცა უმნიშვნელო ციხე-კოშკები აღნიშნულია. გალუმპულები და გათოშილები დავბრუნდით სოფელ ქაქუთში.“ (დ. ბაქრაძე, „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში,“ გვ.87.)

ამ ციხის აშენებას სხვადასხვა დროს უკავშირებენ. გაღმა ქაქუთელ ზურაბ მართალიშვილის მონათხრობით, იგი თამარ მეფის დროს არის აშენებული. ზოგის თქმით, იგი ვინმე ელია დიასამიძეს აუშენებია და იქ მოტაცებულ ტყვეებს მალავდა. ამას ქვემოთ მოყვანილი ხალხური ლექსიც ადასტურებს.

ქართულ მითოსში ელიას ციხე აღიქმება, როგორც ამინდის წინასწარმეტყველის, ელიას სახელზე აგებული ციხე. „მასთან დაკავშირებულია დარ-ავდრის გამწესება ქვეყანაზე. მის სახელზე ეკლესიებია აგებული. მაღალ ბორცვებზე და მთებზე, ელიას მოსამადლიერებლად თხებს სწირავდნენ, რომელსაც დაკვლის შემდეგ ხელუკუღმა გადმოაგდებდნენ მთიდან. როცა ცა გრგვინავს, ამბობენ, ელია დაგრიალებს ცაზე თავისი ეტლითო - ვკითხულობთ მითში. (2012 წ. კალენდარი; „მითი“)

ელიას მთა არაერთგზის დაულაშქრავს ჭანიეთლებსა და გაღმა-გამოღმა ქაქუთლებს. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ახალგაზრდა იურისტი ირაკლი ვაბიშულის-ძე საჯაია, რომელმაც სრულყოფილად აღწერა ელიას მთის ასასვლელი გზა და მიდამოები:

„ჭახათის მთის მიდამოებში იღებს სათავეს აჭარისა და გურიის გამყოფი მდინარე ჩოლოქი. იგი დასავლეთის მიმართულებით მიედინება და შავ ზღვას ერთვის. მისი სიგრძე 28 კილომეტრია. ელიას ციხესთან მისვლამდე, ჩოლოქს გადაივლი თუ არა, რამდენიმე სოფელი უნდა განვლო, პირველი სოფელია გაღმა ქაქუთი, შემდეგ სოფელი როხი. როხთან გზა ორ ნაწილად იყოფა: ერთი გზა მიდის სოფელ ნაცხავატევის მიმართულებით, რომლისგანაც ციხესთან მისასვლელი გზა გრძელია და რთული, თუმცა საკმაოდ მომხიბვლელი და საინტერესო მნახველისათვის. აქ შეხვდებით საუკუნეებით ხელუხლებელ ურთხელის და წიფლის ხეებს. რაც შეეხება მეორე გზას, ის გადის სოფელ გოგმაჩაურზე, რომელიც მდებარეობს ელიას ციხის მთის ძირას. აქედან გზა საკმაოდ მოკლეა, მაგრამ რთულია გადასაადგილებლად, რადგან საკმაოდ ციცაბო და დაკიდული ბილიკებია. როცა ამ მარშრუტს გაივლით, მთის წვერზე მოხვდებით, აქედან თქვენს თვალწინ წარმოდგება დაახლოებით 50 მეტრი სიმაღლის კლდე, რომელიც დაფარულია შქერის და თხილის ბუჩქებით.

აი, ეს არის ის „ციხე“, რომელიც ამაყად გადმოჰყურებს კოლხეთის დაბლობს.

ამ ციხეზე ასავლელად არსებობს ორი პატარა ბილიკი, ერთი არის აღმოსავლეთის მხრიდან, იგი გაცილებით ადვილი დასაძლევია, ვიდრე დასავლეთის მხრიდან ამავალი რთული ბილიკი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან კი პრაქტიკულად წარმოუდგენელია ასვლა, რადგან დაშვებული ფრიალო კლდით არის დაცული. როდესაც ციხეზე მოხვდებით, აღმოჩნდებით ზღვის დონიდან 1150 მეტრ სიმაღლეზე. აქ შემორჩენილია ციხის გალავნის ფრაგმენტები, რომელსაც ოვალური ფორმა აქვს. გალავნის ნაშთები ზოგ ადგილას 3-4 მეტრს აღწევს, ზოგან თავად კლდე ქმნის კედელს. ციხე ნაშენებია იმავე კლდეზე ჩამონატეხი და გათლილი ქვებით. ციხეს ჩრდილოეთი მხრიდან ჰქონდა პატარა ზომის, მაგრამ ძირითად კორპუსზე კარგად მომდგარი კოშკი, თუმცა ახლა კოშკი ჩამოქცეულია და პრაქტიკულად აღარ არსებობს. მხოლოდ, თუ დააკვირდებით შეამჩნევთ, სად იდგა. ციხე დიდი არ არის, დაახლოებით 80 კვ. მეტრის დიამეტრში. აქედან შავი ზღვისა და თითქმის მთელი კოლხეთის დაბლობის თვალწარმტაცი ხედი იშლება. ციხე და მთის მწვერვალი ხშირად ნისლით იბურება.

ელიას ციხის წარმომავლობაზე და მის სახელწოდებაზე მწირი, მაგრამ რამდენიმე ვერსია არსებობს, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაშია გავრცელებული. ერთ-ერთი ვერსიით, იგი აშენებულია დავით აღმაშენებლის მეფობის დროს და აუშენებია ელია დიასამიძეს. ციხე იმ დროს სადარაჯო, სამეთვალყურეო დანიშნულების ყოფილა, შემდგომ, ცხადია, თავისი დანიშნულება დაკარგა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს კი ის კარგად დაცულ ადგილს წარმოადგენდა ტყვეთა მოვაჭრეთათვის. ერთ დროს, ამ ციხე-კოშკს, ისე როგორც ყველა ქართულ ციხეს, გააჩნდა მცირე ნიშა, სამლოცველოს მადლით განათებულიც ყოფილა, მაგრამ როდესაც მონებისა და მოტაცებული ტყვეების დილეგად უქცევიათ, ქართველ თუ გადამთიელ მოვაჭრეებს, მადლიც დაუკარგავს.

საყურადღებოა ელიას ციხის სახელის ეტიმოლოგიაც: „ელიას“ წარმართულ პერიოდში ჭექა-ქუხილის ღმერთის სახელად მიიჩნევდნენ. ადგილობრივების დაკვირვებით, აქ ძალიან ხშირია ჭექა-ქუხილი. სხვა ვერსიით ელიას ციხის აშენებას ალია დიასამიძეს უკავშირებენ, რომელიც გატაცებულ ტყვეებს ამ ციხეში ამწყვდევდა. თუმც მოიაზრებენ, რომ მოღალატე პიროვნების სახელი ისტორიას არ უნდა შემორჩენოდა. ელიას მთაზე მრავალი ექსპედიცია ჩატარდა მოყვარულთა მიერ, თუმც ეს იყო გასართობი ლაშქრობა. 2008 წელს, სექტემბერში კი ქაქუთის ხეობის მოსახლეობამ ერთიანი ძალით ციხეზე 6-მეტრიანი ჯვარი აიტანეს, რომელიც უნდა ეკურთხებინათ, მაგრამ ამას სავალალო შედეგი მოჰყვა. საშინელი ჭექა-ქუხილის დროს ჩამოვარდნილმა მეხმა გაღმა ქაქუთელი ახალგაზრდა იმსხვერპლა, ამიტომაც ჯვრის კურთხევა ვერ მოხერხდა, თუმც იმედი გვაქვს, ღვთის მადლით და შემწეობით მოხერხდება ჯვრის კურთხევა და ამ ადგილს მისი მადლი დაუბრუნდება.

მინაწერი: როგორც დიმიტრი ბაქრაძე აღნიშნავს, ეს ციხე არც ერთ რუკაზე არ არის დაფიქსირებული. ამდენად, ცხადია, შესწავლილიც არ არის. ის, რაც ვიცით მის შესახებ, არის წინაპართა გადმოცემით და ადგილობრივთა თვალით ნანახი, რომელიც, ცხადია, ვარაუდს ეყრდნობა და არა ისტორიული კვლევის მასალებს.

ელიას ციხეზე არსებობს ხალხური ლექსი, რომელიც 1959 წელს ჩაუწერია და გამოუქვეყნებია პროფესორ იური სიხარულიძეს, ხოლო 1970 წელს ივივე ლექსი ხუცუბანში ვასაძისაგან ჩაუწერია კოკი სურგულაძეს.

ლექსი ბედს დაუმორჩილებული ტყვის იმედიანი მოთქმაა, რომელიც მიუხედავად ელიას მრისხანებისა, დაძლევს მის წინააღმდეგობას და თავს დააღწევს ტყვეობას. ამით ცხადი ხდება, რომ ელიას ციხე მართლაც ტყვეთა დილეგად ყოფილა ქცეული.

ლექსი ელიას ციხეზე

ელიას მთაო, მაღალო, წმინდა ელიას სახლ-კარო,
რას იბუზები ღრუბლებში, მაშინებ ვერ გადახვალო,
ჩაჩუტად* სიო მიგზავნე, ყურში ჩამძახი: ტყვე ხარო,
წმინდა გიორგი მწყალობს და გული მიჩივის ჩახვალო
ველარ დამიჭერ თუ გინდა თავს რისხვა გადამაყარო,
ელჭექით, ჭექა-ქუხილით, რომ შესძრა მთელი სამყარო.
თოვლში, ბუჩქები ჩახერგო, თავს სეტყვა გადამაყარო,
ხოშკაკალ, თოვლის ზვავებით — სავალი გზები დაფარო.“

სულიკო ლომჯარია

იყიდება

სასწრაფოდ იყიდება მეორადი ხის მასალა ხელსაყრელ ფასებში

(სიგრძე 6 მ. სისქე, 5 სმ)

დაგვიკავშირდით (558) 499 101

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი

ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru